

მუნიციპალური და რეგიონული ბანკითარების კონცეფციები და რეგობრივ კლასტერებში



2016

**მუნიციპალური და რეგიონული
ბანკოთმართვის კონცეფციები და რეგულაციის
კლასტიკაცია**

პოლიტიკის დოკუმენტი

ავტორი: ნინო ბაბუნაშვილი

სარჩევი

რეზიუმე	3
შესავალი	4
პრობლემის აღწერა	6
პრობლემის გადაჭრის გზები.....	8
რეკომენდაციები	10
დასკვნა	12
ბიბლიოგრაფია	14

რეზიუმე

XXI საუკუნეში შეუძლებელია ქვეყნის ეკონომიკური განვითარება კომერციის, წარმოების, ფინანსური ინსტიტუტისა და განვითარებულ ინფრასტრუქტურის გარეშე. თანამედროვე მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა გამოცდილება, ნებისმიერ ქვეყანაში მაღალგანვითარებული დაეფექტიანი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების აუცილებლობას ამტკიცებს. სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესი წარმოადგენს იმ მძლავრგოლს, რომელსაც ეფუძნება საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური აღმავლობა.

საქართველოში ეკონომიკური რეფორმების უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, რომელთა ეფექტიან ფუნქციონირებაზე დამოკიდებული საბაზრო კონკურენცია, სამომხმარებლო ბაზრის გაჯერების ხარისხი, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და ა.შ.

გასათვალისწინებელია შემდეგი მონაცემები: “განვითარებულ ქვეყნებში (მათ შორის ევროკავშირის ქვეყნები), მცირე და საშუალო საწარმოებს მოქმედ საწარმოთა შორის დიდი წილი უკავია, რაც ქმნის სამეწარმეო სექტორის მთლიანი ბრუნვის 50%-ზე მეტს. აქედან ყოველისაში სამუშაო ადგილიდან ორს კერძო სექტორში ქმნის. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ქვეყნებში, კომპანიების 99%-ზე მეტს მცირე და საშუალო საწარმოები წარმოადგენენ და საშუალოდ ქმნიან მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 2/3-ს.

განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, მცირე და საშუალო საწარმოები მათი მთლიანი რაოდენობის 90%-ზე მეტს წარმოადგენენ, თუმცა მათი წილი მშპ-ში ზოგადად საკმაოდ დაბალია – სწორედ შემთხვევაში 20%-ზე ნაკლები”¹, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე. საქართველოში, ბიზნეს-გარემოს ზოგადი გაუმჯობესების მიუხედავად, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების თვალსაზრისით, იგივე გამოწვევები დგას, რაც მრავალ განვითარებად ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, რომ მცირე და საშუალო საწარმოებზე მოდის მოქმედი საწარმოების უდიდესი ნაწილი, მათი წვლილი მშპ-ში კვლავ ძალიან დაბალია.

საქართველოს განსხვავებული ტიპის ეკონომიკის ჩამოყალიბება ესაჭიროება, რომელიც იქნება კონკურენტუნარიანი, განვითარებადი და მუდმივი ზრდის მუხტით აღჭურვილი. ასეთი ახალი ტიპის ეკონომიკისკენ გზა სწორედ კერძო მეწარმეობის ფორმატის ცვლილებაზე, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე გადის, რომელიც ეკონომიკაში ახალი სტრუქტურული ცვლილების მუხტის მატარებელია. მართალია მცირე და საშუალო ბიზნესს არ შეუძლია დაკარგული პოზიციების დაბრუნება მძიმე და გადამამუშავებელი მრეწველობის ბევრ დარგში, მაგრამ ხელეწიფება, გადამწვევტი როლი შეასრულოს მუნიციპალური და რეგიონული განვითარების კონცეფციებში, დარგობრივ კლასტერებში.

წინამდებარე ნაშრომში აღწერილია საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში არსებული პრობლემები, მიმოხილულია პრობლემის გადაჭრის ალტერნატივები ეთნიკური და გეოგრაფიული თავისებურებების გათვალისწინებით, აგრეთვე განხილულია „საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ“ შემუშავებული დოკუმენტი “საქართველოს რეგიონული განვითარების სტრატეგიები”², სადაც გაშლილია განვითარების პროგრამა ცალკეული

რეგიონების მიხედვით. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს 2012 წლის სექტემბერში შემუშავებულ დოკუმენტში აღნიშნული ამოცანების ნაწილობრივი შეუსრულებლობაც.

საქართველოსთვის სოფლის მეურნეობა სტრატეგიულ დარგს წარმოადგენს. იმისათვის, რომ დარგი უფრო კონკურენტუნარიანი გახდეს და აწარმოოს პროდუქტები იმ სტანდარტების შესაბამისად, რომელიც მოთხოვნადი იქნება არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, საჭიროა ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და რეგიონული კოოპერირების პრიორიტეტად მიჩნევა, რათა გლესმა უფრო ეფექტურად აწარმოოს პროდუქცია და, ამასთან, შემცირდეს თითოეულის დანახარჯები, რაც საშუალებას მისცემს მცირე და საშუალო მეწარმეს, უფრო ეფექტური გახადოს თავისი წარმოება.

შესავალი

ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესი, მოსახლეობაში საშუალო კლასის ფორმირების საფუძველია, რომელიც ეკონომიკის სტაბილური განვითარების ბაზას წარმოადგენს და მოსახლეობის დიდ ნაწილს ასაქმებს. ასეთ ქვეყნებში ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მშპ-ს 50-70% მცირე და საშუალო საწარმოებზე მოდის.

საქართველოში, როგორც მცირე, ისე საშუალო ბიზნესის დაჩქარებული განვითარების აუცილებლობას განაპირობებს ის გარემოებაც, რომ განსაკუთრებით მცირე ბიზნესი ავლენს მოქნილობას და ხასიათდება ბაზრის მოთხოვნაზე სწრაფი რეაგირებით, სპეციალიზაციის მაღალი ხარისხით, რესურსების მობილიზაციის მეტი შესაძლებლობით. მცირე და საშუალო ბიზნესი წარმოადგენს საგადასახადო შემოსავლების მნიშვნელოვან წყაროს, აგრეთვე განსაკუთრებული როლი ეკისრება მას ინოვაციური განვითარების თვალსაზრისით.

სამოქალაქო საზოგადოების საბაზისო ინსტიტუტები მჭიდროდ არიან დაკავშირებული ეკონომიკური ურთიერთობების ფორმატთან – რაც უფრო ნაკლებია სახელმწიფოს ჩარევის დონე და სახელმწიფო მოხელეების რაოდენობა, მით მაღალია ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა.

მცირე და საშუალო ბიზნესი არა მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიაა, არამედ საშუალო ფენის ინსტიტუტია, რომლის პოლიტიკურ ფილოსოფიას სწორედ დემოკრატია წარმოადგენს.

საზოგადოების საშუალო ფენა არის ძირითადი მატარებელი კერძო საკუთრებისა და კონკურენციისა. ის ქმნის სწორედ მაღალტექნოლოგიურ ეკონომიკას, აყალიბებს საზოგადოების ინსტიტუციურ ბაზისს – სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფუნდამენტს, რომლის მიზანია თვითრეგულირებადი საზოგადოება.

სახელმწიფო ეკონომიკის თანამონაწილე უნდა იყოს დაშვებულ ფარგლებში. აუცილებელია განისაზღვროს ის მიმართულებები, სადაც ეს ჩარევა საჭიროა. კერძოდ, ინფრასტრუქტურის, ფუნდამენტური მეცნიერებების განვითარებაში, სოციალური დაცვის საკითხებში, ეროვნულ უშიშროებაში და ა.შ.

მცირე და საშუალო ბიზნესი ისეთი სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციებით ხასიათდება, როგორიცაა:

- მესაკუთრეთა რიცხვის ზრდა, რაც წარმოადგენს საშუალო კლასის ფორმირების საშუალებას და განაპირობებს დემოკრატიულ საზოგადოებაში პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის უმთავრეს გარანტს;
- მცირე და საშუალო ბიზნესში ჩართული მოსახლეობის რიცხვი განაპირობებს მოქალაქეთა შემოსავლებს და ათანაბრებს სხვადასხვა სოციალური ჯგუფების კეთილდღეობას;
- შედარებით მცირე დანახარჯებით ახალი სამუშაო ადგილების შექმნა ბიზნესის სხვადასხვა სფეროში, რეგიონებში სამუშაო ადგილების უზრუნველყოფა;
- პროფესიათა შეთავსების უზრუნველყოფა.

საქართველოში ბოლო 20 წლის განმავლობაში პერმანენტულად ყალიბდება მცირე და საშუალო საწარმოთა (მსს) სექტორი, თანდათან იხვეწება მცირე და საშუალო მეწარმეობის როგორც სექტორული, ისე დარგობრივი სტრუქტურა, თუმცა, ჯერ კიდევ საჭიროა შემუშავდეს და კანონმდებლობით განმტკიცდეს ამ სექტორის ფუნქციონირება, ხოლო საქმიანობის შედეგებზე დაკვირვება მოხდეს გასაგები და გამჭვირვალე კრიტერიუმების საფუძველზე. აუცილებელია იმ სახელმწიფოთა გამოცდილების გაზიარება, რომლებმაც სწრაფი ეკონომიკური გარღვევა მოახდინეს მცირე პერიოდის განმავლობაში (იაპონია, ჩინეთი, თურქეთი), თუმცა გათვალისწინებული უნდა იყოს ჩვენი ქვეყნის ეთნიკურ-გეოგრაფიული თავისებურებანიც.

საქართველო, მისი ბუნებით, გეოგრაფიული და ლანდშაფტური თავისებურებებით აგრარული ფუნქციის მატარებელი ქვეყანაა. გლეხს საქართველოში ოდითგანვე ჰქონდა სოფლის აღორძინებისა და ქალაქის დაპურების მისია. სწორედ ამ ფუნქციის დაკარგვამ გამოიწვია უმუშევრობა, მოსავლის გასაღების ბაზრის უქონლობამ კი სოფლების დაცარიელება, რეგიონული შიდა და გარე მიგრაცია და, შესაბამისად, სოციალური დონის დაცემა.

ამერიკელი ეკონომისტების, ჯ. სტონერისა და ე. დოლანის აზრით, მცირე საწარმო არის საწარმო, რომლისთვისაც – “დამახასიათებელია დამოუკიდებელი მფლობელობა და სამეურნეო საქმიანობის დამოუკიდებელი ირგანიზაცია“.

აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში ბიზნესის რეგულირების კუთხით არსებული ბევრი პოზიტივის მიუხედავად, გარკვეული პრობლემები ჯერ კიდევ მოგვარებას საჭიროებს, მაგალითად: სუსტია ბიზნეს-სექტორის კავშირი სამოქალაქო საზოგადოებასთან. სწორედ ამ პრობლემის მოსაგვარებლად შესაძლებელია გამოყენებული იყოს ისეთი მექანიზმი, როგორიცაა ბიზნეს-ინკუბატორი, რომელიც ხელს შეუწყობს ინდივიდუალური ინიციატივების გამოვლენას და მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევების სწრაფად დანერგვას. საქართველოში ასეთი მექანიზმის დანერგვა მიზანშეწონილია მეწარმეთა მხარდასაჭერად და მომსახურების სფეროში – მეწარმეობის განვითარებისათვის.

ამრიგად, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარაჭერის ღონისძიებები, მათი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება და დასტაბილურება, ახალი სამუშაო ადგილების

შექმნის მყარი გარანტიები, დაბალანსებული ეკონომიკის ფორმირებასა და ფუნქციონირების რეალური საფუძველი გახდება.

აღწერა

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის სრულყოფილად განვითარებისთვის ჯერ კიდევ არ გამოიყენება ყველა შესაძლებლობა. ამას მოწმობს მშპ-ში მცირე და საშუალო ბიზნესის დაბალი ხვედრითი წილი, რომელიც ბოლო 5 წელიწადში საქართველოში 19-20% (მცირე ბიზნესში), 14%-ს (საშუალო ბიზნესში) არ აღემატება, ხოლო სამუშაო ადგილების 43-44% მცირე ბიზნესშია დასაქმებული.³

ზოგადად, საქართველო იყო და არის სოფლის მეურნეობის ქვეყანა, თუმცა ცოტას აქვს გაცნობიერებული მისი სწორი და თანმიმდევრული რეალიზების გზები. ამ მიზნის მისაღწევად, არც მთავრობა და არც საერთაშორისო საზოგადოება, არც ბანკები და მეწარმეები არ მოქმედებენ შესაბამისად.

მცირე და საშუალო საწარმოთა სექტორს მნიშვნელოვანი როლი ეკისრება კონკურენტული გარემოს ჩამოალიბებაში, სოციალური უთანაბრობის შერბილებასა და დასაქმების ზრდაში. მცირე საწარმოები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სიღარიბის დაძლევაში, ისინი მოქნილად და სწრაფად რეაგირებენ ბაზრის ცვლილებებზე, ადვილად ითვისებენ ახალ პროდუქციას და ძირითადად ორიენტირებულნი არიან ადგილობრივ ბაზარზე, რაც ადგილობრივი ბაზრის ეროვნული პროდუქტით გაჯერებას უწყობს ხელს. მცირე და საშუალო საწარმოების სტაბილური ურთიერთობები და გლობალურ საწარმოებთან მათი კონკურენტუნარიანობა არის საწარმოთა სიცოცხლისუნარიანობისა და სარგებლის ზრდის წინაპირობა, რომელიც “ღირებულების ზრდის” სახელითაა ცნობილი.

მცირე და საშუალო მეწარმეობის სფეროში განსაკუთრებით მაღალია ტრანსაქციული ხარჯები. რეგიონული ინფრასტრუქტურა ქალაქთან შედარებით ნაკლებად განვითარებულია და ძვირი ჯდება აგროსამრეწველო ქსელის შენახვა. სოფლის მეურნეობაში ფერმერების მხოლოდ 20% იყენებს ტექნიკურ საშუალებებსა და მანქანებს, ხოლო 25-30%-ს შეუძლია მხოლოდ მანქანური ტექნიკის გამოყენება. აგრეთვე არსებობს სარწყავი სისტემის, ინვესტიციების, ხარისხიანი შხამქიმიკატებისა და სხვა ინფრასტრუქტურის ნაკლებობა, რაც მცირე ფერმერებისთვის ბაზარს ნაკლებად ხელმისაწვდომს ხდის. რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო დარგის დაბალეფექტიანობის ერთ-ერთი მიზეზია მიწის არასწორი დანაწილება, ფერმერების მარკეტინგის უნარ-ჩვევებისა და ცოდნის არქონა.

მცირე მეწარმეებს ბაზარზე მუშაობის გამოცდილება არ აქვთ, გასაღების ბაზრებზე დაბალი კონტროლი გააჩნიათ, მარკეტინგში ნაკლებად აქტიურები არიან, არ აწარმოებენ ბაზრების გამოკვლევას და მათი ცოდნა გაყიდვების სფეროში უმნიშვნელოა. პროდუქციის დისტრიბუციისა და რეკონსტრუქციის განვითარებისთვის მცირე და საშუალო მეწარმეები, მსხვილი მეწარმეებისგან განსხვავებით, ვერ იყენებენ ფასების დისკონტირებას, პროდუქციის ხელშეწყობისა და ერთობლივი რეკლამირების ხერხებს. ასეთი სახის ხარჯები მათთვის კრიტიკული ხდება, ფინანსურ სახსრებში, პერსპექტიულ სფეროებში და შესაბამის ეკოსისტემებში ინვესტიციების ნაკლებობის გამო.

საქართველოს მთავრობამ, სხვადასხვა სამინისტროს ჩართულობით შეიმუშავა “რეგიონული განვითარების პროგრამა 2014-2021”, სადაც არის დახასიათებული ცალკეული რეგიონები და შემუშავებულია ამ რეგიონების განვითარების სტრატეგიული გეგმა. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ცალკეულ რეგიონებში მეწარმეებს უნდა დაეკისროთ ელექტროენერჯის შეღავათიანი ტარიფით გადახდა, თუმცა არაფერია ნათქვამი წყლის გადასახადის შეღავათიანი ტარიფის დაწესების თაობაზე, რაც უმნიშვნელოვანესი რესურსია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის წარმართვისთვის. გარდა ამისა, დოკუმენტში მოყვანილია სტატისტიკური მონაცემები ადგილობრივი მოსახლეობის ბუნებრივი კლებისა და შიდა და გარე მიგრაციის ტენდენციაზე, რაც აუცილებელ შეჩერებას საჭიროებს, ეს უკანასკნელი კი რეგიონებში პოპულაციასა და ცხოვრების დონის ამადლებას გულისხმობს. (იხ. დანართი 1)4 .

საქართველოს ეკონომიკის დაბალანსებისთვის უდიდესი სარგებლის მოტანა შეუძლია მცირე და საშუალო ბიზნესის სწრაფვას, ოპერატიულად დაიკავოს თავისუფალი სივრცეები ადგილობრივ და კავკასიის ბაზრებზე.

ჯანსაღი საბაზრო ურთიერთობებით გაჯერებული თანამედროვე ბაზარი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საშუალო ფენის ჩამოყალიბებისა და საზოგადოების სოციალური დაცვის საფუძველია, აღიარებულია ცივილიზაციის უდიდეს მონაპოვრად, რაც კაცობრიობამ თავისი არსებობის განმავლობაში შეიმუშავა და ამიტომ იყო, რომ საქართველომ, ქვეყნის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებად სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა დაისახა მიზნად.

საქართველოში მცირე საწარმოთა უპირატეს განვითარებას რიგი ხელსაყრელი პირობები განაპირობებს. ესენია:

- ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნება და მათი შედარებით თანაბარი განლაგება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე;
- ჭარბი დაუსაქმებელი სამუშაო ძალა ცალკეულ რეგიონებში;
- სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ტერიტორიების არსებობა;
- ინდივიდუალური შრომისკენ დამახასიათებელი მისწრაფება.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ საქართველოს საგადასახადო სისტემა, განსხვავებულად განიხილავს ბიზნესის სტატუსის განსაზღვრებას. კერძოდ, 2011 წელს საგადასახადო კანონმდებლობაში შევიდა რიგი ცვლილებები, რომლებმაც განსაზღვრა დაბეგვრის სპეციალური რეჟიმი ცალკეული კატეგორიის გადამხდელთათვის – მიკრო ბიზნესის და მცირე ბიზნესის სტატუსები ფიზიკური პირებისათვის. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ერთგვარი ხელშეწყობა ამ სტატუსის მქონე ან მაძიებელი სამეწარმეო სუბიექტისთვის. აღნიშნული რეჟიმები განიხილება საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ალტერნატივად.

თუმცა, ქვეყანაში არ არის შექმნილი ხანგრძლივი ეკონომიკური სტრატეგია და კომპლექსური პროგრამა იმისთვის, რომ დაიცვას მეწარმეობა. სახელმწიფო, პრობლემების გადასაჭრელად, ქვეყანაში დროებით ადმინისტრაციულ ღონისძიებებს ახორციელებს, რაც მოკლევადიან შედეგებზეა ორიენტირებული და მიმართულია ერთი დარგიდან მეორეზე ეკონომიკური სარგებლის გადანაწილებისკენ.

ქვეყანაში იგრძნობა ბიზნესის სფეროში, კერძოდ, მარკეტინგისა და მენეჯმენტის სფეროებში განათლების დაბალი დონე, შესაბამისად, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი ორგანოების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მეწარმეებს სრული ინფორმირებულობით, კონსულტაციებით, ჩაატარებს ტრენინგებსა და სხვა საჭირო ღონისძიებებს, შესაძლებელია ასოციაციების ფორმირებით, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მეწარმეების გავლენის მოპოვებას ბაზარზე.

ალტერნატივები

უკვე აღნიშნეთ და კიდევ უნდა გავიმეოროთ, რომ ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ ფუნქციად მიგვაჩნია აგრარული ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა. ქვეყნის გეოგრაფიული და მეურნეობრიობის თავისებურებების, ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნების, ეროვნული ტრადიციების გათვალისწინებით პერსპექტიულად გვესახება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება. რეგიონებში მსბ-ს განვითარებაზე გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი, რომელთაგან აღსანიშნავია: რეგიონის დამოგრაფიული თავისებურებები, რესურსების ათვისების ხასიათი, ინფრასტრუქტურის დონე, რეგიონული თვითმმართველობის დამოკიდებულება აღნიშნულ პრობლემებთან მიმართებაში და სხვ.

მსბ-ს განვითარების რეგიონული მართვის პრინციპების პერსპექტიულობას ამტკიცებს შემდეგი პირობა: საქართველო კლასიკური მთიანი ქვეყანაა და მცირე კომლიანი დასახლებული პუნქტების (განსაკუთრებით სოფლებში) სიმრავლით ხასიათდება. აქ მცხოვრები ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დასაქმებისთვის ხელსაყრელია მცირე და საშუალო საწარმოთა ამოქმედება. ეს ერთის მხრივ სასარგებლოა მეწარმისთვის, რადგან საშუალება ეძლევა დაასაქმოს ადგილზე მცხოვრები იაფი მუშახელი, ხოლო მეორე მხრივ, შესაძლებელს ხდის, თავიდან ავიცილოთ მოსახლეობის შიდა და გარე მიგრაცია სამუშაოს მოძებნასთან დაკავშირებით.

საქართველო აგრარული ქვეყანაა და სოფლის მეურნეობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხერხემალი, რომლის სიძლიერესა და სიჯანსაღეზე დამოკიდებული ეკონომიკის აღმავლობა და საზოგადოების თითოეული წევრის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, გამომდინარე აქედან, ქვეყნის მშპ-ს დონის ამაღლებაც.

ზემოთ აღნიშნულის მისაღწევად მცირე და საშუალო ბიზნესი უნდა იყოს დამოუკიდებელი და თვითრეგულირებადი ინსტიტუტი. საკმარისი არ არის შესაბამისი კომისიებისა და კომიტეტების შექმნა აღმასრულებელ და საკანონმდებლო სტრუქტურებში, თუმცა, ამ ღონისძიებათა გატარებაც საჭიროდ მიგვაჩნია.

როგორც წესი, სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირება მცირე და საშუალო ბიზნესთან მიმართებაში, ფედერალურ დონეზე ხდება, რომელიც მოიცავს: თანმიმდევრულ საკანონმდებლო სამუშაო პროგრამებს, ადმინისტრაციული ბარიერების შემცირების მექანიზმებს და პროგრამებს, მცირე ბიზნესის განვითარებისთვის შექმნილი პროგრამების გადაწყვეტისთვის ხელმძღვანელი პირების პასუხისმგებლობის ფორმირებას, მუდმივი და შედარებითი სამეურნეო კლიმატის მონიტორინგის გამართვას და გადაწყვეტილების მიღებას ბიუჯეტთან დაკავშირებით.

მცირე ბიზნესის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკაში გადაწყვეტილი უნდა იყოს სხვადასხვა დონის ხელისუფლების პასუხისმგებლობის ურთიერთქმედებისა და გამიჯვნის პრობლემა. დასაქმების პრობლემების გადაწყვეტა ძირითადად ხდება ადგილებზე (მუნიციპალიტეტებში). აგრეთვე განისაზღვრება განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები, ხდება ხელსაყრელი პირობების შექმნა მცირე ბიზნესისათვის და, შესაბამისად, მთელი ტექნოლოგიური ხაზის დაკვირვება და პრობლემური მონაკვეთის გამოვლენა.

მცირე ბიზნესისთვის პრინციპული სულაც არ არის ეკონომიკური განვითარების საერთო პრობლემების განხილვა. მთავარ ამოცანად უნდა იყოს მიჩნეული დაგროვილი პრობლემების გადაწყვეტა. აუცილებელია რეგიონებში ცალკეული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარდეს პერიოდული საინფორმაციო ბრიფინგი მეწარმეებისთვის სიახლეების მიწოდების მიზნით.

მცირე ბიზნესის ფუნქცია მხოლოდ მაშინ იქნება რეალიზებული, როდესაც სამეწარმეო საქმიანობის შედეგები დაუკავშირდება მეწარმის მიერ საკუთარი საქმის დამოუკიდებლად წარმართვის უნარს.

საქართველოს მიწის რესურსების გამოყენების დონე დამოკიდებულია ბუნებრივ-გეოგრაფიული და სოციალ-ეკონომიკური პირობების ერთობლიობაზე. ერთი მთიანი რელიეფის მქონე რეგიონებში აღსანიშნავია სასოფლო-სამეურნეო და განსაკუთრებით დამუშავებული მიწების ფონდის შეზღუდულობა. დამუშავებული მიწების უმეტესი ნაწილი ამ რეგიონებში, მაღალი ბუნებრივი ნაყოფიერების შენარჩუნებისთვის მედიორაციული ღონისძიებების გატარების საჭიროებას მოითხოვს. მიწების სიმცირე მთიან ზონებში, არსებული ფონდის ყოველმხრივ დაცვას და მისი არასასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის გამოყენებაზე მკაცრი კონტროლის დაწესების აუცილებლობაზე მიგვანიშნებს.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, დაიგეგმოს და განხორციელდეს შესაბამისი მიმართულების მქონე დოქტორანტების მიერ (რაც შემდგომში მათ პრაქტიკად ჩაეთვლება) ტრენინგების ჩატარება დარგის განვითარებისა და სუბსიდიების, აგრეთვე კრედიტების სწორად გამოყენების სწავლების მიზნით.

ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების წარმოებაში თანამედროვე აგროტექნოლოგიური მეთოდების დანერგვა, ინვესტიციების განხორციელება საკონსერვო, სამაცივრე და შესანახ სასაწყობე მეურნეობებში. სახელმწიფოს მიერ (ან/და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ, შემდგომში “კოოპერირება”) უნდა შეიქმნას მცირე გადამამუშავებელი საწარმოები, მოსავლის მიზნობრივად ჩაბარებისა და შემოსავლის უზრუნველყოფის მიზნით. კონტროლი დაწესდეს შესაწამლი შესამ-ქიმიკატების ხარისხიანობაზე, მათი მიზნობრივად გამოყენების თვალსაზრისით.

სრულიად განსაკუთრებული როლი ენიჭება მიწის რესურსებს სოფლისა და ტყის მეურნეობაში, სადაც ის გვევლინება, როგორც მათი განვითარების ბაზაც და ამავე დროს, როგორც შრომის მთავარი საშუალება. სასოფლო-სამეურნეო მიწები გამოიყენება სამრეწველო, საბინაო და სხვა მშენებლობისთვის. ეს პროცესი თუ არ შეჩერდა, მომავალში სურსათის უკმარისობის ერთ-ერთ არაპირდაპირ მიზეზად დარჩება.

მიწის რაციონალური გამოყენებისა და მისი მოსავლიანობის აძლევის მიზნით, საქართველოს სოფლის მეურნეობაში აუცილებელია შემუშავდეს ღონისძიებათა

სისტემა: კომპლექსური მექანიზაციის, მიწის ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებებისა და სხვათა სახით, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს ნიადაგის ნაყოფიერების გადიდებას, განსაკუთრებით მის ეკონომიკურად ნაყოფიერ სისტემურ ზრდას. ეს კი საშუალებას მოგვცემს დაცული იყოს სახელმწიფოს, მეწარმეთა (ფერმერთა) და მოსახლეობის ინტერესების თანხვედრა, რის შედეგადაც გაიზრდება წარმოების ეფექტიანობა, შეივსება ადგილობრივი ბიუჯეტი, ფერმერისთვის ხელმისაწვდომი გახდება მიწის გადასახადის ოდენობა და მოსახლეობა დაცული იქნება სოციალურად.

უცილებლად მიგვაჩნია საზღვრისპირა რეგიონების კომუნალური და მიწის გადასახადისგან გათავისუფლება, საბანკო კრედიტების მინიმალური პროცენტით გაცემა და ადგილობრივი ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, შემდგომში მიგრაციის შესაჩერებლად. აქვე უნდა აღინიშნოს “დაცლილი” სოფლების პოპულარიზაციის აუცილებლობა, ყველა ზემოთ მოყვანილი (და არა მარტო) ხერხებით, რათა ათვისებული იყოს მიტოვებული მიწის სავარგულები და სოფლები.

რეკომენდაციები


1. საქართველოში ბოლო 20 წლის განმავლობაში პერმანენტულად ყალიბდება მცირე და საშუალო საწარმოთა (მსს) სექტორი, თანდათან იხვეწება მცირე და საშუალო მეწარმეობის როგორც სექტორული, ისე დარგობრივი სტრუქტურა;
2. საქართველოში საბაზრო სისტემისა და ბიზნეს სექტორის განვითარებაზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ რეგისტრირებულ საწარმოთა 99,2% (318957 ერთეული) კერძოა. სწორედ კერძო სექტორში იქმნება ქვეყანაში წარმოებული დამატებითი ღირებულების 88,4%, გამოშვებული პროდუქციის 90,3%, კერძო სექტორში დასაქმებულია 80% 5.
3. საჭიროდ მიგვაჩნია საქართველომ გამოიყენოს მდიდარი მსოფლიო გამოცდილება, მოახდინოს მსს-ების განვითარებისა და მხარდაჭერის წარმატებული მოდელის დანერგვა. ამ პროცესში აუცილებელია ეროვნული, ტერიტორიული, კლიმატური, საწარმოო და ინფრასტრუქტურული სპეციფიურობების, აგრეთვე დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინება.
4. მცირე და საშუალო საწარმოების კრიტერიუმების განსაზღვრისას უნდა გავითვალისწინოთ ქვეყნის მასშტაბი, ეროვნული ეკონომიკის სპეციფიურობები, დარგობრივი სტრუქტურის თავისებურებანი და ეკონომიკის განვითარების დონე. ეს კრიტერიუმები უნდა იყოს ერთიანი და გადამოწმდეს პერიოდულად (3-4 წ-ში) კორექტირების მიზნით;
5. უცილებელია იმ სახელმწიფოთა გამოცდილების გაზიარება, რომლებმაც სწრაფი ეკონომიკური წინსვლა მოახდინეს მცირე დროისგანმავლობაში;
6. მცირე საწარმოების მიმართ უნდა დაწესდეს სასტარტო შეღავათები. ა.მ. ახლად შექმნილი მცირე საწარმოები ფუნქციონირების დაწყებიდან პირველი 2 წლის განმავლობაში გათავისუფლდნენ მოგების გადასახადიდან (თურქეთის მაგალითი);
7. მცირე საწარმოებს უფლება უნდა მიეცეთ ისარგებლონ დაჩქარებული ამორტიზაციის ნორმებით;

8. საზღვრისპირა რეგიონებში მცირე და საშუალო საწარმოები გათავისუფლდნენ წყლის, მიწის და ელექტროენერჯის გადასახადებისგან ან დაეკისროთ მინიმალური (სიმბოლური) გადასახადი, რაც ხელს შეუწყობს ამ რეგიონების პოპულაციას;

9. შეიქმნას მცირე გადამამუშავებელი საწარმოები და მიმღები პუნქტები მოსავლის ჩაბარების მიზნით (შესაძლებელია საწარმოების ადგილობრივი მოსახლეობის მიერ შექმნა, “კოოპერირება”).

საქართველოში სამუშაო ძალის ნახევარზე მეტი დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში. რეალურად სოფლის მეურნეობას სწრაფად შეუძლია გაზარდოს ექსპორტი და ყველაზე დიდი პოტენციალი გააჩნია იმპორტის შემცირებისა და ეკონომიკის მდგრადი განვითარების კუთხით. ამავე დროს საქართველოში სიღარიბე და საკვების დეფიციტი უმეტესწილად სწორედ სოფლადაა. გამომდინარე აქედან, საქართველოს ხელისუფლებამ უმთავრესპრიორიტეტად უნდა დაისახოს სოფლის მეურნეობისა და რეგიონების განვითარების პროგრამები.

დანართი 1.



წყარო საქსტატი

რეგიონის მოსახლეობის დინამიკა ტერიტორიული ერთეულების მიხედვით (ათასი კაცი)

თვითმმართველი ერთეული	2002	2006	2008	2012	2013	2014
ქ. ქუთაისი	186,0	190,1	188,6	196,8	196,5	197,0
ბაღდათი	29,2	29,0	28,6	28,8	28,6	28,5
ვანი	34,5	34,2	33,7	33,8	33,6	33,5

ზესტაფონი	76,2	75,6	75,2	75,7	75,3	75,2
თერჯოლა	45,5	45,3	44,8	45,1	44,8	44,7
სამტრედია	60,5	60,4	59,9	60,8	60,3	60,1
სახსერე	46,8	46,4	46,6	48,1	48,0	48,1
ტყიბული	31,2	30,6	30,2	30,1	29,8	29,5
წყალტუბო	73,9	73,9	73,2	74,1	73,6	73,5
ჭიათურა	56,3	55,6	55,0	55,3	54,9	54,9
ხარაგაული	27,9	27,6	27,4	27,4	27,2	27,1
ხონი	31,7	31,4	31,0	31,5	31,3	31,2
სულ	699,1	700,1	694,2	707,5	703,9	703,3

წყარო: საქსტატი

დასკვნა

მივიხნევთ, რომ აუცილებელია რეგიონებში არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარდეს პერიოდული საინფორმაციო ბრიფინგი მეწარმეებისთვის სიახლეების მიწოდების მიზნით და ტრენინგები მეწარმეთა ცოდნის ამაღლების თვალსაზრისით. აგრეთვე, აუცილებლად მიგვაჩნია პოლიტიკური ნება, რათა შედგეს მუდმივი დიალოგი მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებსა და ხელისუფლებას შორის. ამასთან, მცირე ბიზნესისთვის პრინციპულია არა ეკონომიკური განვითარების საერთო პრობლემების განხილვა, არამედ დაგროვილი პრობლემების გადაწყვეტა. ეს კი, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც შექმნილია დამოუკიდებელი ორმხრივი კავშირი მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებსა და აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელებს შორის. აღნიშნული მოთხოვნის აუცილებლობა განპირობებულია პირველ რიგში ადმინისტრაციული ბარიერების წარმოშობის საფუძველზე და მეორე - მცირე ბიზნესს ბიუროკრატიულ ბარიერებს, ცალკეულ შემთხვევაში, აგრეთვე უქმნიან რეგიონული და მუნიციპალური უწყებები.

საჭიროა შემუშავდეს და კანონმდებლობით განმტკიცდეს ამ სექტორის ფუნქციონირების მექანიზმები, ხოლო საქმიანობის შედეგებზე დაკვირვება მოხდეს მარტივი და გამჭვირვალე კრიტერიუმების საფუძველზე. ნათელია, რომ აღნიშნული სისტემის შექმნა წარმოუდგენელია მცირე და საშუალო ბიზნესში და მის ირგვლივ ურთიერთობების მთელი გამის ობიექტური მონიტორინგის გარეშე, რაც გულისხმობს ახალი საინფორმაციო მასივების ფორმირებას და სტატისტიკური დაკვირვების ახალი ფორმების დანერგვას. გასაგები ხდება, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის

ფუნქცია მაშინ იქნება რეალიზებული, როდესაც სამეწარმეო საქმიანობის შედეგები დაუკავშირდება მეწარმის მიერ საკუთარი საქმის წარმართვის უნარს.

საქართველოს ახალ ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლა, ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში, მოითხოვს ბიზნესის განვითარებისთვის ისეთი აუცილებელი პრინციპების შემუშავებასა და რეალიზაციას, როგორებიცაა:

1. კონკურენციის განვითარება;
2. სამეწარმეო საქმიანობაში არჩევნის თავისუფლება;
3. მოსახლეობის განათლების დონის ამაღლება და შრომის მოტივაციის ეფექტიანი მექანიზმის შექმნა;
4. მეორადი პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა;
5. თავისუფალი ფასწარმოქმნის სისტემის დამკვიდრება;
6. კერძო და საზოგადოებრივი ინტერესების მოქნილი მექანიზმის ჩამოყალიბება;
7. მიწის გადასახადის განაკვეთის მოცულობის განსაზღვრა, რაც ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბერკეტია. და ა.შ.

დღეს არსებული მდგომარეობით, საგადასახადო კოდექსის მიხედვით მიწის გადასახადი არ განეკუთვნება ადგილობრივ გადასახადებს, თუმცა ყველა გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ იგი ადგილობრივი დატვირთვის მატარებელია, რითაც მისი მნიშვნელობა არ მცირდება. ურბანულ მიწებზე ტერიტორიული კოეფიციენტის განსაზღვრით – ტერიტორიულ ორგანოს საბაზისო განაკვეთზე თავისუფალი ზემოქმედების საშუალება აქვს. მიწის გადასახადით მიღებული საბიუჯეტო შემოსავლები ადგილობრივ ბიუჯეტში სრული მოცულობით ჩაირიცხება. ამრიგად, რომ არა ცენტრალური ხელისუფლების სურვილი, შეინარჩუნოს ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების ბერკეტი, მიწის გადასახადის ადგილობრივი გადასახადის სტატუსით განხილვა შესაძლებელი იქნებოდა. აქედან გამომდინარე, რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების საკითხები განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს, რასაც ხელს უწყობს როგორც თვითმმართველობის ჩამოყალიბება, ისე სამხარეო დაყოფის აქტუალიზაცია. აღნიშნულის შესაბამისად, უფლებამოსილების ზრდა ეკონომიკური პოლიტიკის დეცენტრალიზაციასა და ეკონომიკური აქტივობის ცენტრიდან რეგიონისკენ გადანაცვლებას გამოიწვევს, შესაბამისად, შესაძლებელია მოხდეს სასოფლო-სამეურნეო მიწის გადასახადის განაკვეთის დადგენის დეცენტრალიზაციაც.

ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის;
2. საქსტატი: ძირითადი მონაცემები რეგიონული ანალიზისათვის და რეგიონული განვითარების პროგრამის შეფასებისთვის, 2002-2015;
3. ჭითანავა ნ. “საბაზრო ეკონომიკა და აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების პრობლემები”, “საქართველო”, თბ., 1993.;
4. კოდუაშვილი პ. , ბენია შ., “ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ძირითადი ასპექტები”, სამეცნიერო შრომათა კრებული. თ. (XIX), 2002;
5. დოღონაძე ა., ჯურჭიაია, “მიწის რესურსების მართვის პრობლემები”, “ასკემსი”, სამეცნიერო შრომათა კრებული ტ. 2, 1999;
6. სმიტი ა., “გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ;
7. Шумпетер Й. Теория экономического развития, М., “Эксмо”, 2007
8. დევიდ ვ. ლენდი “ მწვანე მინდვრები – საქართველოს სოფლის მეურნეობის რეალობა და პოტენციალი;
9. ევროკომისია 2010, დიალოგი “მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკაზე” აღმოსავლეთ პარტნიორობის მრავალმხრივი ფორმატის ფარგლებში (*Dialogue on «SME Policy» with regard to the multilateral framework of the Eastern Partnership*)
10. http://eeas.europa.eu/delegations/georgia/projects/overview/agriculture_and_rural_development/index_ka.htm
11. <http://imereti.gov.ge/res/docs/strategia.pdf>
12. http://gov.ge/files/275_38368_341843_136617.09.13%E2%80%93931.pdf
13. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1----0-10-0---0---0direct-10---4-----0-11--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL1.3&d=HASH2ff40e4921399b171cb567.6&x=1>

1 ევროკომისია 2010: დიალოგი “მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკაზე” აღმოსავლეთ პარტნიორობის მრავალმხრივი ფორმატის ფარგლებში

2 საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020

3 საქსტატი 2001-2005

4 რეგიონების განვითარების პროგრამა 2014-2017

5 საქსტატი 2014